



# ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების ქსელის (BES-Net) ტრიალოგი თემაზე: დამამტვერიანებლები, სურსათის უსაფრთხოება და სოფლის განვითარება

სარაევო, 18 – 20 ოქტომბერი, 2017წ

## დღის წესრიგი

BES-Net-ის მეშვეობით, გაეროს განვითარების პროგრამას წვლილი შეაქვს „ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების მთავრობათაშორისი პლატფორმის“ (IPBES) შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში. BES-Net ხელს უწყობს და მხარს უჭერს დიალოგს სამეცნიერო, პოლიტიკის და პრაქტიკის სფეროების წარმომადგენლებს შორის, IPBES-ის გლობალური შეფასებების თემებთან დაკავშირებით. BES-Net-ის პირველი ტრიალოგი დამამტვერიანებლების, სურსათის უსაფრთხოების და სოფლის განვითარების საკითხებზე სარაევოში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაიმართება 2017 წლის 18-20 ოქტომბერს, რომელსაც მასპინძლობას ბოსნია-ჰერცეგოვინის გარემოსა და ტურიზმის ფედერალური სამინისტრო გაუწევს, როგორც IPBES-ის საკონტაქტო პირი. აღნიშნულ ღონისძიებას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ GmbH) ახორციელებს „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ღია ფონდის - ბიომრავალფეროვნების“ (ORF-BD) მხარდაჭერით და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით.

IPBES-ის გლობალურ შეფასებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამამტვერიანებლების და დამტვერვის სერვისების კლებას მთელს მსოფლიოში. ტრიალოგის მონაწილეები აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში არსებულ სიტუაციას ერთობლივად შეაფასებენ, სადაც ასევე განხილული იქნება რეგიონში დამამტვერიანებლების შემცირების ეკონომიკური ზეგავლენა, გამომწვევი მიზეზები და მათი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე. ამას გარდა, აღნიშნული იქნება ის სერვისები, რასაც დამამტვერიანებლები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის, აგრობიზნესის და სურსათის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასევე, დამამტვერიანებლების და მათი ჰაბიტატების მდგრადი სახით მართვის მნიშვნელოვანი სარგებელი ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაციისთვის.

### ტრიალოგის მიზნები:

1. ინფორმირებულობის ამაღლება IPBES-ის გლობალური შეფასების მიგნებების შესახებ დამამტვერიანებლების და სურსათის წარმოების მიმართ;
2. საერთო სივრცის შექმნა, რათა ერთობლივად შეფასდეს რეგიონისთვის შესაფერისი ცოდნა დამამტვერიანებლების, სურსათის უსაფრთხოების და სოფლის განვითარების შესახებ, ასევე, თანამონაწილეობით შემუშავდეს ადგილობრივად შესაბამისი პოლიტიკის ვარიანტები; და
3. საერთო სამოქმედო დღის წესრიგის შედგენა.

დღე 1: ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი

დრო	აქტივობა
08:30 – 09:00	რეგისტრაცია
09:00 – 09:40	ღონისძიების გახსნა
09:40 – 10:00	შესავალი სესია: ტრიალოგის მიზნები
10:00 – 11:15	თემატური სესია I: დამტვერვის და დამამტვერიანებლების მნიშვნელობა - დამამტვერიანებლების მრავალმხრივი მნიშვნელობის ინტერაქტიული აღნიშვნა
11:15 – 11:30	ყავის შესვენება კენკრის თემით
11:30 – 12:30	თემატური სესია II: პროგრამული მოხსენება. „არსებობს თუ არა პრობლემა და როგორ შეგვიძლია ეს გავივით? დამამტვერიანებლების, დამტვერვის და სურსათის უსაფრთხოების მდგომარეობა და ტენდენციები“. IPBES-ის გლობალური ექსპერტის და რეგიონული ექსპერტების ძირითადი მოხსენება გლობალური მნიშვნელობის მიზეზებზე, IPBES-ის შეფასების შედეგები გლობალურ და რეგიონულ დონეზე; მისი მნიშვნელობა სურსათის წარმოებისთვის, სოფლის განვითარებისა და რეგიონული კულტურების ეკონომიკისთვის
12:30 – 14:00	სადილი
14:00 – 19:00	საველე ვიზიტი: შერჩეულ ობიექტებზე ვიზიტი სარაევოს მახლობლად, მართვას დაქვემდებარებული და ველური დამამტვერიანებლების საკითხის განხილვა ადგილობრივ პრაქტიკოსებთან ერთად სარაევოს ახლოს
19:00 –	ვახშამი



დღე 2: ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი	
დრო	აქტივობა
09:00 – 09:15	პირველი დღის მიმოხილვა
09:15 – 11:15	თემატური სესია III: პანელი 1 „დამამტვერიაწებლების და დამტვერვის სერვისებში ცვლილების გამოწვევი მიზეზები რეგიონულ და ეროვნულ დონეზე“. პანელის შემადგენლობაში პოლიტიკის შემუშავებელი პირები და მეცნიერები რეგიონიდან, რომლებიც ეროვნულ დონეზე ცვლილებების გამოწვევი მიზეზებს წარმოადგენენ და განიხილავენ, ასევე, რეგიონულ დონეზე ფუტკრების პოპულაციებისთვის საერთო საფრთხეების შესახებ ისაუბრებენ და აღნიშნავენ, თუ რა განსხვავებული მდგომარეობა არსებობს აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში
11:15 – 11:45	ყავის შესვენება თაფლის თემით
11:45 – 13:30	თემატური სესია IV: ინოვაციების გამოფენა - ინოვაციური იდეები პრობლემების მოსაგვარებლად და არსებული შესაძლებლობების გამოყენება
13:30 – 15:00	სადილი
15:00 – 18:00	თემატური სესია V: პოლიტიკის და მართვის სხვადასხვა ალტერნატივები რისკების და შესაძლებლობების მიმართ - სამუშაო ჯგუფის სესია, კონკრეტული ადგილისთვის შესაფერისი პოლიტიკის ვარიანტების გამოსავლენად
19:00 –	ვახშამი

დღე 3: პარასკევი, 20 ოქტომბერი	
დრო	აქტივობა
08:30 – 09:45	თემატური სესია IV და V: მაღალი დონის საუბრის პარალელურად, მონაწილეები თავიანთი სამუშაოს ჩვენებას დაასრულებენ, სადაც წარმოდგენილი იქნება ინოვაციური იდეები და ქმედებები პოლიტიკისა და მართვისთვის, რაც მზად იქნება მაღალ დონეზე მონვეული სტუმრებისა და პრესისთვის გასაზიარებლად
08:30 – 09:45	მაღალი დონის საუბრე: მაღალი დონის სამთავრობო ოფიციალური პირები, დონორები და პარტნიორები IPBES-ის გლობალური შეფასებისა და ტრიალოგის სესიებიდან მიღებულ მთავარ გზავნილებს განიხილავენ
09:45 – 10:15	პრესკონფერენცია
10:15 – 10:45	ჩვენება და საუბარი
10:45 – 13:00	თემატური სესია V: პანელი 2 „როგორ წავიდეთ წინ და ტემპი შევინარჩუნოთ“. პანელში წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო რესურს ორგანიზაციები კომენტარებს გამოხატავენ და ვებებს დასახავენ, თუ როგორ შეიძლება ტრიალოგიდან მიღებული იდეების და ქმედებების მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მიმდინარე ინიციატივებით.
13:00 – 14:30	სადილი
14:30 – 16:00	თემატური სესია V: სამუშაო ჯგუფის სესიები, კონკრეტული ადგილისთვის შესაფერისი პოლიტიკის ვარიანტების გამოსავლენად, რაც „ტრიალოგის შედეგების დოკუმენტში“ უნდა შევიდეს
16:00 – 16:15	საბოლოო შეჯამება და შეფასება
16:15 – 16:45	დონისძიების დახურვა



Federal Ministry for the Environment, Nature Conservation, Building and Nuclear Safety

